პარასკევი, 19 დეკემბერი 1903 წ. 1877 წელიწადი ოც-დამეშვიდე 1903 პარასკევი, 19 დეკემბერი 1903 წ.

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

12 თვით	. . 10 მ. — კ.
11 ,,	. . 9 ,, 50 ,,
10 ,,	. . 8 ,, 75 ,,
9 ,,	. . 8 ,, — ,,
8 ,,	. . 7 ,, 25 ,,
7 ,,	. . 6 ,, 50 ,,
6 ,,	. . 6 ,, — ,,
5 ,,	. . 5 ,, 50 ,,
4 ,,	. . 4 ,, 75 ,,
3 ,,	. . 3 ,, 50 ,,
2 ,,	. . 2 ,, 75 ,,
1 ,,	. . 1 ,, 50 ,,

ივერია

№ 271 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 271

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა:
1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მ. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი „აღდგომა“ („Воскресеніе“),

5 მანეთად ტფილისში და 7 მანეთად ტფილისს გარეშე დაეთმობათ გაზეთი უფრო იაფად: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში:—ნაგოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და შელიძის წიგნის მაღაზიაში.
საბუნჩაში:—პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ხასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

მღვდელი **ილია ზაქარიას ძე მგალობლიშვილი** შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 20 დეკემბერს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკკლესიაში იქნება გადახდილი წლის წირვა და პანაშვიდი მისის ქალის

ნინოს

სულის მოსახსენებლად.

რუინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების.

ფოტოგრაფია

რუინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:
1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილ საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლე ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

ქართული თეატრი

კვირას, 21 დეკემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

I

ხალხის მტერი

ანუ

ექიმი შტოკმანი

დრამა 5 მოქ. ჰ. იბსენისა თარგ. პოლუმორდვინოვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. დავითიშვილისა, ა. კარგარეთელისა, ე. ჩერქეზიშვილისა. ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე. [illegible] კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი.**

---

22 დეკემბერს, 1903 წ.

ტფილისის საკრებულო დარბაზში გაიმართება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ

კონცერტი,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი: ჩემსოვისა; ბ-ნნი: . ბალანჩივაძე, ვილშაუ, ევლახიშვილი, პოლიცკა თ. აკაკი წერეთელი და სხ. აგრეთვე სიმღერის მოყვარულთა გუნდი და

ორკესტრი

ზ. ზ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

ხორო და ორკესტრი შეასრულებს ა. რუბინშტეინის სასულიერო ორატორიიდან „ბაბილონის გოდოლის შენება“, ქართულს, იმერულს, გურულს და სვანურს სიმღერებს და მარშს „ალსდეგ, გმირთ გმირო“.

კონცერტის შემდეგ გაიმართება ქართული და ევროპიული ცეკვა.

ბილეთები იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა თავ. აზ. ქარვასლა). (3—6.—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 19 დეკემბერს 1903 წ.

წარმოდგენილი იქნება

მაზეპა

ოპერა 3 მოქ. მუს. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ფერტიკი, კარრი, სელიუკი როზხსტოვსკაია; ბ-ნნი დარსკი, ილიუშენკო, ამირჯანი, ევლახოვი, გავრიილოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა. (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე. შინაგ და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიძოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1$^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1$^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7$^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8$^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი, 19 დეკემბერი.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, როგორც ამას წინად გვქონდა მოხსენებული, უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა სასტიპენდიოთ წლიურად ჰხარჯავს ბანკის მოგებიდან 20—24 ათას მანათამდე.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში ნივთიერად მეტად შევიწროებულია, მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. მაშასადამე, თავად-აზნაურობის მხრივ წლიურად ასეთი დახმარება ამ დიდ-მნიშვნელოვან საქმის ნაყოფიერად წარმართვისათვის მეტად საგულისხმიერო საქმეა.

ღრმად დარწმუნებულნი ვართ რომ თავად-აზნაურობა ასეთს დახმარებას კვლავაც არ მოაკლებს თავის შვილების სწავლა-აღზრდის საქმეს: ღრმად დარწმუნებულნი ვართ აგრეთვე, რომ ჩვენი ახალგაზდობა, რომელიც ამ ჟამად სწავლა-განათლების დაუშრეტელ წყაროს ეწაფება—საუნივერსიტეტო ქალაქებში კეთილგონიერად და სასარგებლოდ გამოიყენებს ხელმოკლე მშობელთა გულწრფელს დახმარებას.

დიაღ, თავად-აზნაურობა ყოველ წლიურად დიდის სიამოვნებით გაიღებს ზემო აღნიშნულს ფულს ყმაწვილების სასწავლებლებში ქართველ მოსწავლეთა სასტიპენდიოდ. სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ ეგ ფული დღესაც არ აკმაყოფილებს ყველა ჩვენს ღარიბ მოსწავლეთა მოთხოვნილებას, და, აბა, რა საფიქრებელია, რომ სამი-ოთხის წლის შემდეგ, როცა ქართველ სტუდენტთა რაოდენობა, ჩვენდა საბედნიეროდ, გაცილებით იმატებს, ეს ფული საკმარისი იყოს. მოთხოვნილება დახმარების მიმღებთა წლითი-წლობით იმატებს, ხოლო თავად-აზნაურობის ღონისძიება, რომლიდანაც ამ ჟამად სტუდენტებს დახმარება ეძლევა, ძნელად მოსალოდნელია შესაბამად გადიდდეს.

მართალია, ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის ოპერაციები ამ ჟამად მკვიდრ და საიმედო ნიადაგზეა დამყარებული და იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ ბანკის აწინდელი მდგომარეობა მომავალში უფრო და უფრო მკვიდრ ნიადაგს მოიპოვებს, ბანკის მოგება, საიდანაც თავად-აზნაურობა სასტიპენდიო ხარჯს ეწევა, თანდათან იმატებს, მაგრამ ბანკის მოგებას მრავალი კიდევ სხვა დიდად საჭირო და აუცილებელი ხარჯი თანა სდევს,—თავად-აზნაურობა ბანკის მოგებიდან ინახავს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას, რომლის ხარჯი წლითი-წლობით მატულობს, ბანკის ამავე მოგებიდან დახმარება ეძლევა წინამძღვარიანთ სამეურნეო სკოლას, საშუალო სკოლათა ხელმოკლე მოსწავლეთა და მრავალი კიდევ სხვა.

ყველა ეს ხარჯი მეტად საჭირო და ყოველ წლიურად აუცილებელია. ამნაირად ის, წყარო, რომლიდანაც ამ ჟამად თავად-აზნაურობა სტიპენდიებს აწესებს უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლეთათვის, ძნელად მოსალოდნელია გადიდდეს და მუდმივს, დაუშრეტელ ნაკადულად გადაიქცეს ჩვენის ხელმოკლე და ღარიბ სტუდენტების დასაკმაყოფილებლად.

ჩვენის აზრით-კი, აუცილებლად საჭიროა ეს თანხა წლითი წლობით მატულობდეს. რათა ჩვენი ღარიბი მოსწავლე ახალგაზდობის უმრავლესობამ მომავალში შესძლოს უმაღლესი სწავლის განგრძობა და ნაყოფიერად დამთავრება.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, აწინდელ მის შეძლებას რომ ვუყურებთ, ღონე არ მოსდევს სასურველად გაადიდოს ზემო ხსენებული თანხა და, მაშასადამე, საჭიროა სხვა რაიმე საიმედო საშუალებას მივმართოთ და მით რამდენადმე მაინც უზრუნველვყოთ ის დიდმნიშვნელოვანი საშვილისშვილო საქმე, რომელსაც ხელმოკლე და ღარიბ სტუდენტთა დახმარების საქმე ეწოდება.

ჩვენის აზრით, ერთად-ერთ სამართლიან და მასთანავე საიმედო წყაროდ უნდა ჩაითვალოს თვით სტუდენტების მიერ დასახმარებლად მიღებულის ფულის უკანვე დაბრუნება. სტიპენდიათ მიღებულის ფულის უკანვე დაბრუნება, სწავლის დამთავრების შემდეგ, ჩვენ მეტად სამართლიანად მიგვაჩნია. როცა ესა თუ ის სტუდენტი ხელმოკლე იყო და მშობელმა ერმა დახმარება აღმოუჩინა, მისცა შეძლება სწავლა დაემთავრებინა, ნუ თუ ამავე სტუდენტის ზნეობრივი მოვალეობა არ არის, სწავლის დამთავრების შემდეგ, როცა უკვე საზოგადოების წევრია, როცა ნივთიერი საშუალებაც ნებას აძლევს, ერთი ღარიბი სტუდენტი არ აღზარდოს თავის ხარჯით და ამ რიგად არ შესძინოს საზოგადოებას ერთით მეტი შეგნებული ადამიანი. ვგონებთ, ჩვენი მოსაზრება სიმართლეს არ უნდა იყოს მოკლებული და, თუ არა ვცდებით, ჩვენ მიერ ნაჩვენები ღონისძიება მომავალ სტუდენტთა ქონებრივ უზრუნველყოფას ბევრად ხელს შეუწყობს.

სასურველია, ჩვენმა ქართველმა სტუდენტობამ გამოსთქვას თავისი აზრი ამ საგნის შესახებ გაზეთის საშუალებით და თუ იგი, როგორც კორპორაცია, საჭიროდ და სამართლიანად დაინახავს ჩვენ მიერ ნაჩვენებ საშუალების საჭიროებას, შემდეგ სრულიად ადვილად მოსახერხებელია მოეწყოს სასურველი ორგანიზაცია.

დიახ, შემდეგ ადვილია მოწესრიგდეს საქმის ორგანიზაცია იმ მხრივ, რომ თვითოეულმა სტუდენტმა თავის აუცილებელ ზნეობრივ მოვალეობად ჩასთვალოს, სწავლის დამთავრების შემდეგ, უკანვე დააბრუნოს სტიპენდიათ მიღებული ფული.

ტ ფ ი ლ ი ს ი

როგორც ყური მოვკარით, თავ. ა. სუმბათაშვილის პიესას „ღალატს“ სთარგმნიან სომხურსა და ბოლგარულს ენებზე. ფრანგულად, როგორც ამბობენ, კიდეც გადაუთარგმნიათ.

ჩვენი რედაქცია თავ. ა. სუმბათაშვილის პიესას, რომელსაც ახლა ფელეტონებად ვბეჭდავთ, ცალკე წიგნად დაბეჭდავს და პრემიად დაურიგებს გაზეთის

ხელის-მომწერლებს იმ პრემიის გარდა, რომელიც გამოცხადებული გვაქვს.

„ჩერნომ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია, რომ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი, ყოვლად სამღვდელო დიმიტრი ეწვია სადარბაზოდ ამ გაზეთის რედაქტორს. ყოვლად სამღვდელოს მოედანზე დიდძალი ხალხი ელოდა.

რუსეთში არსებობს ისეთი საზოგადოება, რომლის აზრიც არის სასოფლო-სამეურნეო ცოდნა გაავრცელოს ქალთა შორის. ამ აზრით ის ჰმართავს ხოლმე თეორეტიულ კურსებს. ასეთი კურსები სრულიად ვერ აკმაყოფილებენ მოსწავლეთ, მათ ესაჭიროება პრაქტიკულად შესწავლა მეურნეობისა. ამიტომ ზემოხსენებულს საზოგადოებას განუზრახავს სხვა-და-სხვა სოფლებში გაჰგზავნოს სავარჯიშებლად ის ქალები, რომელთაც პრაქტიკულად უნდათ მეურნეობის შესწავლა. საზოგადოებას აზრად აქვს, კავკასიაშიაც გამოჰგზავნოს მოსწავლენი და ამიტომ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას სწერს, შესაძლებელია თუ არა მახდ გამოვგზავნოთ რამდენიმე ქალიო. სამეურნეო საზოგადოება ამის პასუხს ჩქარა აცნობებს.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას დიდძალი კოლექციები მოსდის სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოებისა.

ტფილისში ჩამოვიდა ჩერნომორის გუბერნატორი გენერალ-მაიორი ვოლკოვი.

ქალაქის საბჭოს განსაკუთრებულს კომისიას ამ დღეებში, კრება ჰქონდა. კრებამ განიხილა ნიხრი ხორცისა და დაადგინა, ისევ ძველი დარჩეს.

ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიის თავმჯდომარემ ა. ბ. ევანგულოვმა ტფილისის ქალაქის თავს თავადს არღუთინსკის წარუდგინა ქალაქის ხორცის დუქნების 1904 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. შემოსავალი, ვარაუდით, 417,878 მანეთი იქმნება, ხარჯი ამდენივე.

20 დეკემბერს დანიშნულია ტფილისის ხელოსანთა კრება. ამ დღეს კრება განიხილავს ხელოსანთა გამგეობის შემოსავალსა და ხარჯსა 1903 წლის განმავლობაში. ამავ დღეს კრება მოისმენს ხელოსანთა მოურავის მოხსენებასა და პროექტს ხელოსანთათვის სამარხ კასის დაარსების შესახებ. სამარხ კასის შესახებ ბაასი 16 დეკემბერსაც ჰქონდა ხელოსანთა დეპუტატებისა და ამქართა მამასახლისების კრებას. ყველამ მოიწონა პრინციპიალურად ეს აზრი და დაავალა ხელოსანთა მოურავს ვრცელის მოხსენების შედგენა ამის შესახებ.

ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა საგუბერნიო მმართველობის სააღმშენებლო განყოფილებას, დაათვალიერე ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრის ელექტრონის სადგური.

21 დეკემბერს საღამოს 8 საათზე კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია კრება სახალხო კითხვათა გამმართველ საზოგადოების წევრთა. კრება განიხილავს საზოგადოების მოქმედების ანგარიშს 1902—1903 წლის განმავლობაში, მოისმენს სარევიზიო კომისიის მოხსენებას და აირჩევს საზოგადოების ნამდვილ წევრებს.

20 დეკემბერს დანიშნულია პირუტყვთა მფარველ ტფილისის საზოგადოების კრება. კრებამ თანამდებობის კაცნი უნდა აირჩიოს მომავალ სამის წლისათვის. ახლანდელ გამგეობას საზოგადოებისას ვადა გაუთავდა.

ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა გამგეობის სარევიზიო კომისიას კრება ჰქონდა ამ დღეებში. კრებამ განიხილა შემოსავალ-გასავლისა და კვიტანციის წიგნები. აღმოჩნდა, რომ ფულში კვიტანცია მიცემულია, ხოლო შემოსავლის წიგნში ეს ფული სრულიად ნახსენები არ არის.

თელავის ქალაქის მოურავის თანაშემწე გარდაიცვალა. თელავის ქალაქის მოურავი სთხოვს ტფილისის გუბერნატორს, დანიშნე ახალი არჩევანიო.

ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების წევრთათვის ბ-ნმა დემენტიევმა ლექცია წაიკითხა მცენარეულის შესახებ. ლექციის მოსასმენლად ბევრი წევრნი მივიდნენ. შემდეგ სამშაბათს წაკითხულ იქმნება ლექცია ვ. მ. კოროლენკოს შესახებ.

16 დეკემბერს უსინათლო ბავშვთა სკოლა დაათვალიერეს დედათა პირველ გიმნაზიის მეცხრე კლასის მოსწავლეთ. მოსწავლენი დაესწრნენ გაკვეთილებზე და სადილზე. დაათვალიერეს დაწვრილებით სკოლის შენობა.

ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრად აქვს ცხენის რკინის გზის ჩვიდმეტი უფასო ბილეთი სთხოვოს ბელგიის უსახელო საზოგადოებას ქალაქის სკოლების მასწავლებელთა და მათ თანაშემწეთათვის.

დღეს, 19 დეკემბერს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანი ე. იოსელიანი ერევანში მიდის სამეურნეო ნაწარმოებთა კოლლექციების შესაკრებად.

სოფელ ნაცხიდან, შორაპნის მაზრა, გწერენ, რომ იქ გაჩენილა ყვავილი. ყოველ დღე ეს ავადმყოფობა უფრო და უფრო ძლიერდება, მაგრამ მის წინააღმდეგ დღემდე არავითარი ღონისძიება არ მიუღიათ.

ამ დღეებში მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს. კომიტეტმა განიხილა ხარჯთ-აღრიცხვა და აგრეთვე შეიმუშავა გეგმა ფილოქსერასთან ბრძოლისა მომავალ წელს.

21 დეკემბერს არტისტიულ თეატრში ბ-ნ კრასოვის დასი მეორედ წარმოადგენს თავ. სუმბათაშვილის პიესას „ღალატი“.

ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში. ხმოსანი სთხოვს ქალაქის გამგეობას, წინადადება მიეცი ქალაქის საბჭოს, ამოირჩიოს 5 ხმოსანისაგან განსაკუთრებული კომისია და დაავალოს იმას ახალი საყასბოს აშენება. როგორც ვიცით, ქალაქის თვითმმართველობამ ამ რამდენისამე დღის წინად უკვე მიიღო ნებართვა სესხის აღებისა საყასბოს ასაშენებლად. 800 ათას მან. სესხის ობლიგაციების განაღდებას გამგეობა უკვე შეუდგა.

ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის გამგეობას ანგარიში თვითმმართველობისა 1901 წელს. გუშინ გამგეობამ აცნობა გუბერნატორს, ეს ანგარიში მალე გადაეცემა ქალაქის საბჭოს განსახილველად და მერე თქვენ წარმოგიდგენთო.

ტფილისის სამხატვრო სასწავლებლის დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა სამხატვრო სასწავლებელში სპეციალ კლასების გაფართოებისა და საზოგადო განათლების საგნების შეზღუდვის შესახებ. დღეს მოსწავლე სპეციალ კლასებში რჩება 4 წელიწადს, საზოგადო განათლების კლასებში-კი ექვს წელიწადს. დირექტორს უთხოვნია, სპეციალ კლასებისთვის ექვსი წელიწადი დაწესდეს, საზოგადო განათლების თვის-კი ოთხი.

რამდენიმე დღე ბაქოში

(გაკვრით)

ნეტარ-ხსენებულს ლუარსაბ თათქარიძეს, ხასიათის სხვა მრავალ თვისებათა შორის, თან სდევდა აგრეთვე ერთი მეტად თვალსაჩინო ჩვეულება. ეს ჩვეულება გახლდათ ის კონსერვატიული უმოძრაობა, რომლის მეოხებით ყოველის გზით ბედნიერი თავადი ნირ-შეუცვლელად აღამებდა თავის სიცოცხლეს: ლოგინიდან სუფრაზე გადავგორდებოდა და სუფრიდან ტახტზე. ყოველნაირი ცვლილება ცხოვრების ერთკილოვანებისა ისე ეზიზღებოდა ჩვენს ლუარსაბს, რომ ხატი რა არის? ხატსაც-კი რის ვაი-ვაგლახისა და მკითხავებთან დიდის რჩევა-ძიების შემდეგ ეხლა სალოცავად.

კარგა ხანმა გაიარა ლუარსაბის გარდაცვალების შემდეგ, ერთმა მოდგმამ მეორეს დაუთმო ადგილი, მეორემ მესამეს, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენის მამათ-მთავრის ლუარსაბის ეს საქებური ნაკვთი ხასიათისა აღკვეთილიყოს ქართველის ბუნებაში (მე ქართლ-კახელთ ვგულისხმობ). არა, ეს მადლი (ლუარსაბის აზრით, რაღა თქმა უნდა) მემკვიდრეობით გადადის ერთის შთამომავლობისაგან მეორეზედ და მატლად უჩნდება ქართველის ბუნებას.

სხვისა რა მოგახსენოთ და მე-კი, ვით გულწრფელმა ადამიანმა, უნდა აღვიარო, რომ ხშირად ვგრძნობ ჩემს არსებაში ლუარსაბისეულ სისხლის გავლენას, იმ სისხლისას, რომელსაც ხავსი მოჰკიდებია და რომლის წყალობით ქართლ-კახელთა კარ ჩაკეტილობას, ოთხ-კედელ შუა ცხოვრებას აქამდისინ გასაღები არ გამოსჩენია.

სწორედ ასეთი აზრები მომდიოდა თავში, როდესაც თბილად და რბილად ვაგონში მჯდომარე ბაქოსაკენ მივქროდი. ხანდახან თვალს შევავლებდი იქვე პირდაპირ სავარძელზე მჯდარს ჩემს ღარიბაისელს თანამგზავრს და სირცხვილი ამიტანდა ხოლმე, იმის გამო, თუ რამდენი ჩიჩინი დასჭირდა ამ საპატიო კაცს, რომ დაეძლია ჩემი გაუბედაობა და ქალაქიდანვ ფეხი გამოედგმევინებინა.

და თუმცა გავბედე ფეხის გადგმა, მაგრამ გული როგორღაც მეთანადრებოდა და ჟამითი-ჟამ ფანჯარაში ვიყურებოდი, სიყვარულით ვესალმებოდი ტფილისს და თანაც თითქოს ბოდიშს ვიხდიდი, მაპატიე, ჩემო დედა-ქალაქო, რომ ასე უსვინიდისოდ გიღალატე-მეთქი.

დიაღ, ეს არის ძველი სენი ახალ სხეულში და კიდევ ბევრი დრო გაივლის, ვიდრე ქართველი განიკურნებოდეს ლუარსაბობისაგან.

⁂

. . . . . .

ეს სიმრავლე წერტილებისა ნუ გაუკვირდება მკითხველს. იგი შეეხება არა რომელსამე მოვლენას, ან შემთხვევას, რომლის მოთხრობა აქ უხერხული იყოს, არა, იგი შეეხება ბაქო-ტფილისის გზას, რომლის ერთფეროვანი, გულ-გამაწვრილებელი სურათი ხრიოკ ველ-მინდვრებისა არავითარ საზრდოს არ აძლევს კაცის თვალს და არ აღაგზნებს გონებას სავარჯიშოდ. ეს სურათი მოგაგონებთ ასოთა ისეთ ამონაწყობს უშველებელ კაბადონზე, რომელსაც ვერ მოუძებნით თავსა და ბოლოს და რომლის უნუგეშო ერთ კილოკავობას არა არღვევს არსად აბზაცი, წერტილი, ანუ დიალოგი ერთის სიტყვით, ეს გზა უშველებელი და მოსაწყენი მონოლოგია უნიჭო ადამიანის ნაწარმოებში.

მაგრამ, აი დღე ღამეს გაეყარა, ამოიშუქა მზემ და აელაპლაპა კასპიის ზღვის ზედაპირი.

ბუნების დიადობას, სხვა სტიქიონთა შორის, ადამიანის აზრით, გამომეტყველად უფრო ზღვა ახასიათებს. მართლაცდა არც ერთი სტიქიონი ისე მდიდარი როდია კონტრასტებით, როგორათაც ზღვა და აი, სწორედ ეს სხვა-და-სხვაობა, ანაზდეული ცვალებადობა: ზვირთთა ხან გალომებული შეხეთქება, ერთი-ერთმანეთზედ აგორება, ხან-კი დიად სიმფონიასავით დამშვიდებული, დაწყნარებული ჩქეფა ჰქმნის იმ მრავალ-ფეროვანებას, რომელიც სული და გულია მშვენიერებისა.

ამ ჟამად ზღვა დამშვიდებული იყო, მდორე და მხოლოდ დილის სიო საამურად აბიბინებდა მის ზედაპირს. შორს, იქით, სადაც ზღვა და ჰორიზონტი ერთმანეთს შერეოდნენ, თითქოს ჯადოსნურ უხილავ ხელს თხლად ნაკემსი საბურავი გადაეფარებინა ზღვის ზედა-პირისათვის და, თვალს რომ უშტერებდით, გეგონებოდათ ბურუსში რაღაც გრძნეულნი გამოსახულებანი ერთმანეთში ირეოდნენ ადამიანის გონების განსაცვიფრებლად.

⁂

აი, გავცდით ბალაჯარს და მივუახლოვდით ბაქოს. ერთის თვალის გადავლება იყო და მაშინვე მივხვდი, რა დიდი განსხვავებაა ტფილისსა და ბაქოს შორის. ტფილისში რომ შედიხართ, უპირველეს ყოვლისა თქვენი ყურადღება უნდა მიიპყრას ერთმანეთზე მიყოლით, თითქმის გადაბმით მიყრილმა სახლის ბანებმა, ათასფრად შეღებილებმა. ბაქოში-კი თვალში გეჩხირებათ უამრავი, ჰაერში მედგრად და გაბედულად აზიდული, შავად შებოლილი მილები ქარხანა-ფაბრიკებისა, რომელთა შორის სახლები როგორღაც ობლად მიმალულან, თითქოს პატრონთ დაჰვიწყებიათო.

მაგრამ არ მოსტყუვდეთ,—ეს მხოლოდ ერთი ნაწილია ქალაქისა—ეგრედ წოდებული შავი ქალაქი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს დანარჩენ ქალაქთან, გარდა იმისა, რომ „თეთრი ქალაქი“ სთვლის იმ ფულს, რასაც შავი ქალაქი იგებს. ეს ის შავი ქალაქია, რო-

ფელეტონი

სატრფოს.

რად შემომყურებ, ჩემო სატრფო, თვალ-გაშტერებით,
ეგრეთისა საამო სახით და ნაღვლიანად,
ჩემს სატანჯველად მომევლინე ციურ მშვენებით,
თუ წარმოგგზავნა ზეცამ ჩემდა მხსნელად, მკურნალად?

—

რათ არ მაშორებ შავსა თვალებს, ცეცხლებრ მგზნებარეს,
მელნის ზღვასავებრ მომღელვარეს და მოელვარეს;
ბოროტი, მავნე განზრახვანი გულს გიტრიალებს,
თუ გსურს აშორო კაეშანი გულსა მკვნესარეს?

—

რა გსურს ნეტავი, რას მიმზადებ და რა განსაცდელს
ცხოვრებით ტანჯულს, დაობლებულს და მომტირალეს;
გინდა მომხიბლო, დამამტერო ზეციერ ძალებს,
ჩემს წმინდა ზრახვათ, მისწრაფებათ და იდეალებს?!

—

თუ დასჯილი ხარ ჩემებრ შენცა გლახ ბედისგანა
და საპყრობილედ გეჩვენება მთელი ქვეყანა,
სადაც სინათლის ერთი სხივიც სანატრელია,
სად ჭეშმარიტი სიტყვა, აზრი შეზღუდულია!

—

სადაც გულს ჰკლავს დაჩაგრულთა კვნესა საზარი,
გვემას, წამებას სიმართლისთვის არ აქვს საზღვარი;
სად წმინდა გრძნობა, ჭეშმარიტი შელახულია,
ქრისტეს მოძღვრება ღვთაებრივი დაკარგულია.

—

ვერსაით ჰპოვე თანაგრძნობა, თავშესაფარი,
არ ვინ გაგიღო სულით ობოლს გულისა კარი,
და ჩემებრ მარტოდ, განდევნილად ვითა საპყარი
ტოლსა დაეძებ უთვისტომო და გულ-დამწვარი?

—

თუ ჩემში არ სცან სულმა სული თანაზიარი,
რისთვის გამიღე მე უბედურს სამოთხის კარი,
რისთვის მაგემე ნეტარების ტკბილი ნექტარი,
გულს რად დამასვი სასიკვდილოდ ტრფობის ისარი?!

ლეო.

ღალატი

(შემდეგი *)

მოქმედება მეორე

(იწყება ხუთ დღის შემდეგ)

ოთარ-ბეგის ბაღი გორს ახლოს, მტკვრის პირად, მის მარცხენა ნაპირას.—სცენის სიღრმის ნაწილი უჭირავს კოშკის კუთხეს, რომელსაც ფართო ეივანი აქვს ბაღის მხრივ. ოთხს საფეხურს აჰყავს კაცი ბაღიდან ამ აივანზედ. აივანი დამყარებულია სვეტებზედ, თაღებით გადაბმულზედ ერთმანეთ შორის. კედლებს რკინის კარები აქვს დატანებული, ფანჯრებს—დაჩვრეტილი დარაბები.—სცენის სიღრმეში ვარდისა და აყვავილებულის იასამნის ბუჩქებია.—შორს წყალი-გაღმა მოსჩანს თრიალეთ-ახალციხის მთები—საციციანო, ტყით დაფარული.—მარჯვნივ ხეივანია, ტალანის მსგავსად, მიდის შორს და უხვევს მარჯვნივ. ხეივანში შესასვლელ ადგილის მახლობლად დიდი კაკლის ხეა, გამოფუღრული. მის ქვეშ სდგას განიერი ტახტი ხალიჩა-ბალიშებით დაგებული.—ცხრა თვალი მზე დგას და მალე ჩავა. 6 საათი იქნება ნაშუადღევისა.

I

ოთარ-ბეგი გამოდის სახლიდან დაფიქრებული და მოღრუბლული.—უკან ბესო მოსდევს, მისი მსახური, გაბედულის და, ცოტა არ იყოს, მოეშმაკო სახისა.

ოთარ-ბეგი (ბოლთასა სცემს განრისხებული და დაღონებული. ბესო ისე სდგას არხეინად, ვითომც აქ არაფერია). რაო, შე ძაღლის-შვილო, ე ქუდი რომ წამოგიდვია და ისე მადგეხარ თავზედ? სიცოცხლე მოგბეზრდა, თუ როგორ არის?

ბესო (იგლეჯავს ქუდს) თავ-გზა დამებნა, დიდო ბატონო. როცა სპარსი ხარ, ღმერთმა ნუ ქნას, ქუდი მოვიხადო, როცა ქართველი—ღმერთმა ნუ ქნას დავიხურო.

ოთარ-ბეგი. მომართვი ღვინო! (დაჯდება ტახტზედ, კაკალ ქვეშა). თავ-გზა დამებნაო... თვით მე დამებნა თავ-გზა! (ბესო მიდის და მოაქვს შევერცხლილი კულა ვერცხლის სინით. ოთარ-ბეგი დიდხანს არაკრაკებს კულით ღვინოს, მოითქვამს სულს და უკან აძლევს კულას).

ბესო. ამბობენ, კათალიკოსი მოჰკლეს ტფილისში განთიადისას, სწორედ ცისკრის წინადაო.

ოთარ-ბეგი (თავ-პირ-ჩამოხნელებული).—მოჰკლეს. მეფემ ბრძანა, ზარების რეკა არ იყოს ეკლესიებშიო. კათალიკოსმა მაშინვე ყველას შეატყობინა ეს ბრძანება. თავის მორჩილს-კი აღარ უბრძანა, ზარი არ დაერეკა, დაავიწყდა. იმან დარეკა—ერთხელ მოასწრო ჩამორეკა. კათალიკოსი თვითონ ავარდა სამრეკლოზედ და ჩამოიყვანა მორჩილი. მაგრამ ამ დროს გაჩნდნენ ჩაფრები და...

ბესო. მაშ, ერთხელ ჩამოჰკრა მარტო?

ოთარ-ბეგი. ერთხელ.

ბესო. მაგისთვის მოჰკლეს.

ოთარ-ბეგი (სცდილობს მრისხანე სახე მიიღოს). მაშ, როგორ გნებავს?

ბესო (ჩაღუნავს თავს). არა, მე იმაზე ვიქვი, რომა, რახან სიკვდილი აუცილებელი იყო მისთვის, კათალიკოსისათვის, სიკვდილის წინად ბარემ მთლად ზარების რეკა აეტეხნა და ის იქნებოდა.

ოთარ-ბეგი (უცბად დაიწყებს მაღლა ხმით ჯავრობას, თუმცა ეტყობა, რომ გულით არ ჯავრობს). მე შენ მამფურზედ აგაგებ და ცოცხალს შეგწვამ ღორივით ნაკვერჩხლებზედ. ტომარაში ჩაგსვამ, შიგ კატასა და ძაღლს ჩაგისვამ და წყალში გადაგისვრი.

ბესო. შე დალოცვილო, ერთი-ერთი მაინც იყოს, ან ცეცხლი, ან წყალი. მაგრამ შენი ნება არ არის, ბატონო, ყველაფერი.

ოთარ-ბეგი. მოიტა ღვინო! (დიდხანსა სვამს).

ბესო. ამბობენ, ბატონო, რომ შენ იასაულებს ძლიერ გაუჭირდებათ ერთი საპანე ოქროსა და სამი საპანე ვერცხლის მოგროვება. ეკლესიები დიდი ხანია გაძარცულია.

ოთარ-ბეგი. სურამის ურიები? ცოტა ოქრო და ვერცხლი აქვთ?

ბესო. სამი საპანის მოგროვება მაინც ძნელი იქნება.

ოთარ-ბეგი (წარბ-შეჭმუხვნით). - რასა სტყუი, ბრიყვო?

ბესო. არა ვტყუი, დიდო ბატონო, თითებზედ ვანგარიშობ (მოკეცავს თითს) ჯერ ჩვენა ვცარცვავდით იმ ურიებს, ვიდრე გავმაჰმადიანდებოდით, ეს ერთი! ოსმალონი სცარცვავდნენ—ეს ორი. სპარსნი სცარცვავენ ახლა—ეს სამი. ოქრო კიტრი ხომ არ არის, გაზაფხულზედ ახალი მოვიდეს.

ოთარ-ბეგი. ხუმრობას თავის დრო აქვს. მათრახი ხომ არ მოგდომებია.

ბესო. ღმერთმა დალოცოს, ვისაც ის უნდოდეს. მე ასე მგონია ჩემს ტუტუცის ჭკუითა და იმიტომ მოგახსენებ. ჯერ ჩვენ ვაძრობდით ტყავს, იმიტომ რომ ქრისტე აწვალეს, ახლა კი ჩვენ უფრო უარესად მოვექეცით ქრისტესა,—ახლა რაღას ვემართლებით იმათ?

ოთარ-ბეგი. ბესო!

ბესო (გაბედვით).—მერე ისიც სპარსელების გულისათვის! იმათ სულაც ნება არა აქვთ და! დეე, ურიებმა იმათიც ვინმე აწვალონ, მაშინ მოსდგნენ და ართვან.

ოთარ-ბეგი მერე ვინ უნდა აწვალონ, ძაღლო?

ბესო. აი თუნდ ყვიციანი სოლეიმანი!

ოთარ-ბეგი. (შეძრწუნებული, ეცემა ბესოს).—გაჩუმდი, შე წყეულ-შეჩვენებულო! (პირზედ ხელს მიაფარებს და აქეთ-იქით იყურება). ჩამოგახრჩობ მე შენა.

ბესო (გაუსხლტება ხელიდან).—ახლა კიდევ ექვსი ლამაზი ქალწულიო. წინად იყვნენ ჩვენშიც ლამაზები, მაგრამ დიდხანს არ რჩებოდნენ გაუთხოვარნი. მას უკან-კი, რაც მე და შენ ისლამის ნათელი მივიღეთ და ყიზილბაში მეგობრები გავიმრავლეთ ქართლში, რაც საქართველოს გურჯისტანს ვეძახით, ერთხელ ვნახე ერთი გასათხოვარი ქალი, ისიც ელამი, და იმასაც ორი შვილი ჰყავდა.

ოთარ-ბეგი (ხარხარებს). ოჰ, ბესო, ცუდათა ხარ ატეხილი და, მგონი, ბოლოს ხეირი არ დაგეყრება.

ბესო.—ვინც პატიოსანია, იმას თავის დღეში ხეირი არ დაეყრება, ბატონო. (ხეივნიდან სირბილით გამოვარდება გაიანე, თან წივის და ხარხარებს. ძალიან ლამაზია, ტანადი, მხიარული ტანისამოსი აცვია

---

*) იხ. „ივერია“, № 270.

მელიც ნავთს კეროსინად ჰხდის.

შავი ქალაქი მართლა რომ შავია. სახლი, მიწა, ადამიანი ცხოველი—ყოველისფერი ჯოჯოხეთივით უკუმეტშია, მაგრამ რომ იცოდეთ რა შემოსავლიანია ეს ჯოჯოხეთი, რომ იცოდეთ, რამდენი მილიონერი უკეთია მუგუზლად ამ ჯოჯოხეთს და რა უდიერ შრომისა და ტეხნიკის გამომეტყველია იგი.

* * *

ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით შევხედე მეეტლეს და იმ ეტლს, რომელიც ჩვენ წინ გაჩერდა, როცა ვოკზალის კიბეზედ ჩამოველით: პაწია ეტლი, მომცრო ტანის ცხენებიანი, გახუნებულ ხალათში გამოხვეული მეეტლე, უშველებელ თათრულ ქუდით—ერთის სიტყვით, ყველა ეს ერთად შეზავებული თითქოს თვალ-ნათლივად გვამცნობდა, რომ სასტუმრომდე ხანგრძლივი სვლა მოგვინდებოდა, ისიც სვენებ-სვენებით; მაგრამ, ნუ იტყვით ჩემ გაკვირვებას, როცა ერთი დაწრუწუნება იყო და ეტლი ანაზდეულად დაიძრა, დაიძრა და გაქანდა. ბოლოს ძალიან დამნანდა, რომ ჩემი ეჭვი არ გამართლდა, რადგანაც ეტლი ისე მიჰქროდა, რომ ორჯერ, ცოტას გაწყდა, ცხენი ან რკინის გზას არ დაეტაკა, ერთხელ კინაღამ ბავშვი არ გაიტანა, მესამედ ქუჩაში მოტრიალების დროს გადაბრუნებას გვემუქროდა, მაგრამ, ალბად ღმერთმა არ ინება, რომ ბაქო წყევლა-კრულვით ამომეგდო და, ათას ხიფათს გადარჩენილი, სასტუმრომდე მიგვარიხინა.

ამას მიტომ გიამბობთ, რომ მხედველობაში იქონიოთ—ბაქოში გარეგნობით არავინ განსაჯოთ, რადგანაც, ადვილად შესაძლებელია, მექანქანე თათრის სამკაულში თქვენ წინ მილიონერი იდგეს და კოხტა-პრუწიად გამოწყობილს-კი ბისტი არა ჰქონდეს, რომ თვალზედ მიიკრას.

* * *

ბაქოში რომ დიდი სიძვირეა—ეს წინადაც მსმენოდა, მაგრამ, ღვთის წინაშე, არ მეგონა თუ ასეთი მამასისხლობ იქნებოდა აქაო და ნავთს ფასი მოემატაო—ყველაფერი ერთი ათად გაუხდიათ. ოთახიდგან დაწყობილი უბრალო ქიშმიშამდე ოქროს წონად ჰღირს.

ერთი სასტუმრო ავსებით სავსე იყო და მეორისაკენ გავწიეთ. იქაც ძლივ-ძლიობით და მოციქულ-მეაკაცების დახმარებით, როგორც იყო, ვიშოვეთ ორი ნომერი. ტფილისელს, რომელიც ბაქოში არა ყოფილა, რომ ვუთხრა ფასი იმ ოთახებისა, ვერ წარმოიდგენს—რა საკვირველის სიძვირის მაჩვენებელი იქნება ესა, რადგანაც, შეიძლება, იფიქროს—ოთახები ყოფილა ისე საგანგებოდ მოწყობილიო და ამიტომ ისევ შედარებას მივმართავ: ტფილისში ამისთანა ოთახები ერთი ხუთად ნაკლებადა ჰღირს... ტყუილი არ გეგონოთ.

როცა ჩემმა განცვიფრებამ ამ სიძვირის გამო მწვერვალესობამდე მიახწა,—აი რა მითხრა ჩემმა თანამგზავრმა.

— რა ძალიან გიკვირთ! იქ, საცა ორსამ დღეში არ-რის მქონე შეიძლება მილიონერად იქცეს და მილიონერი-კი გაგლახაკდეს—ამისთანა გაკვრა-გაგლეჯა ბუნებრივი მოვლენაა, ცხოვრების უცილობელი ფაქტორია!..

კარგია, თქვენმა მზემ! აქაო და ბაქოში ერთნი ანაზდეულად მილიონერდებიან და მეორენი გლახაკდებიან—მე, უცაბედმა მგზავრმა,—უნდა ჩემს თავზედ მივიღო მათი ცოდვები?!

— რას იზამთ? ცხოვრებას ისე დაუკავშირებია ცოდვიანი და უცოდველი, რომ ვერ გაარჩევთ, სად იწყება ერთის ცოდვა სად თავდება მეორის მადლი...

ი. ზ.

(შემდეგი იქნება).

ჩვენებური ამბები

ქ. ქუთაისი. მუდმივი ჩხუბი, უყურადღებობა და უსუფთაობა, ყოველთვის ატყვია ამ ჩვენ ქალაქს. დღე არ გავა, რომ «მოქეიფე ძმა ბიჭებმა» ერთმანერთი ხანჯლის წვერზე არ აავონ. მაგალითად, 14 დეკემბერს ორი კაცი შეიქმნა მსხვერპლი ამ უგუნურობისა: ჯერ იქეიფეს, შემდეგ ჩხუბი მოსვლოდათ და ერთმანეთი დაეხოცათ.

პელაგიაშვილი.

კლდეთის საზოგადოება. ჩვენის საზოგადოების დღევანდელ საჭირბოროტო საქმედ ორი საგანი გამხდარა: პირველი ადვილად გადასაწყვეტი, მეორე ძნელად თავიდან ასაცილებელი და სულ-შეუხებელი ერთია არჩევა ახალის მამასახლისისა, მეორეა კაიხნის ატეხილი დავა ხაზინასა და კლდეთის საზოგადოების გლეხებთა შორის ადგილ-მამულის თაობაზე. რაც შეეხება მამასახლისის არჩევას, ამის გამო, დიდი ხანია, ემზადება სხვა-და სხვა აზრით აღჭურვილი საზოგადოების სხვა-და-სხვა ნაწილი, ირჩევა კანდიდატიც, მაგრამ ჯერ არა გადაწყვეტილა-რა, რადგან ხალხი პირველ ერილობაზე ცოტა დაესწრო, მეორე ერილობისათვის-კი ყველა მზათაა და ენახოთ, ვის აირჩევენ; ბევრი გაიძახის ნასწავლი გვინდაო, ბევრი ამბობს, მჭლე კაცი ჩავაყენოთ და გავასუქოთ, მადლიაო; სოფელი საჭმელია და საჭამოს, რა გვენაღვლებაო. ასარჩევი პირებიც მეცადინობენ, რადგან დღეს ყველასა სწამს, აქ დიდი «ხეირი» «დოვლათი» და გამორჩენაა. ერთი ნამამასახლისარი ამასაც-კი ამბობდა გამოცვლის შემდეგ: მოხერხებული თუა კაცი, მამასახლისობაში სულ უკანასკნელი 2.500 მანეთს გამორჩება წლიურადო, და მართლაც ეს „მოხერხებული კაცი» ცხრა წელიწადი მსახურებდა, და ძვირადაც დაუჯდა საზოგადოებას მისი გადაყენება.

დიაღ! არ სტყუის ყოფილი მამასახლისი, მართლაც „მოხერხებული კაცი», ბევრს გამორჩება და, რა-კი დღეს ყველა «გამორჩენასა“ და «ხეირს» ეძებს, ამიტომაცაა, რომ ბევრს სურს ეს სასარგებლო ადგილი ხელთ იგდოს, იხარჯება ქრთამები, ამისთვისაა ხოლმე შეთქმულობა მეთაურ კაცებისა და და ბრძოლა უმრავლესობის მოსამხრობად.

ცხადია, მამასახლისად იმას აირჩევენ, ვისაც მეტი პატივის ცემა მიუძღვის მეთაურების წინაშე, მე პირადად ბევრისაგან გამიგონია, ეხლანდელმა მამასახლისმა მ—მა ოთხ კაცს (ასახელებენ) ხუთ ხუთი თუმანი დაურიგა და მხოლოდ იმიტომ იქმნა არჩეული, თორემ ვინ დააყენებდაო, და რომ ეს არც საეჭვოა, ჩვენც გვწამს, გვწამს ისიც, რომ მ—ლი დიდად «გამოცადა», დიდი «მოხერხებული კაცი» შეიქნა და კიდეც ისარგებლა «საჭმელ სოფლით», მას შეუდგენია თავისებური პროგრამა და ნიხრი, გადაწყვეტილი აქვს, სად და რაში რამდენი აიღოს. ჩვენ თითონ გვაფიცანით, ხალხით ვამტკიცებთ და სწორედ მისი სასტიკი «გამორჩენის მაძიებლობა» იყო მიზეზი, რომ ჩვენ 8 ოქტომბერს ყვირილის ბოქაულის კანცელარიაში „მექრთამე“ ვუწოდეთ, რაზედაც თვით ბოქაულიც დაგვეთანხმა და გვითხრა, მართალი უნდა იყოს, მე დიდი ხანია გაჯავრებული ვარ მაგაზე, ეშვი მაქვსო.

ვნახოთ, რას გვიჩვენებს მომავალი, თუმცა ეს ეჭვს გარეშეა, ვინც უნდა აირჩიონ, მგონი, მ—ს არვინ ჩამოერჩეს. ძალა აღმართსა ხნავს, ძალა-კი დღეს კლდეთის საზოგადოების უმრავლესობაში-კი არაა, არამედ ფულში. დიად ფულში, პატივის ცემაში. უმრავლესობის ხმა აქ გამქრალია, მისი უფლება ფეხ-ქვეშ გათელილია.

დეე, ვინც უნდათ, ის გაიყვანონ. უფლება, რომელიც დღეს საზოგადოდ სოფლის გლეხ-კაცობას აქვს, ასეთი უფლება ნუღარც ყოფილა. მხოლოდ სახელია მარტო, სახრავი-კი სხვისაა, მაგრამ მოვა დრო და ხალხიც არავის გაათელინებს თავის უფლებას.

მეორე საგანი—დავა მიწების გამო. 1895—96 წლებში კლდეთის საზოგადოებაში დაიწყეს ადგილების გამიჯნვა, ძლიერ ბევრი აღმოჩნდა ისეთი ადგილები, რომელნიც ნასყიდია თავად-აზნაურობისაგან, მაგრამ ნასყიდობის ქაღალდები ისე არაა შესრულებული, როგორც, ალბად, ხაზინას სურვებია. ხაზინის აგენტმა განაცხადა დავა ამ ადგილების შესახებ და, აი, წელს გაირჩა ეს საქმე. ქუთაისის სასამართლომ მოითხოვა მოპასუხე გლეხებისაგან საბუთები, რომელიც ძველი ქართული წესით არის დაწერილი, და წარუდგინეს სასამართლოს, ყველას ეგონა დავა მოეხსნებოდა გლეხების ადგილებს და როგორც ნაყიდი ძველის კანონიერ საბუთით, საკუთრებად დაუმტკიცდებოდათ, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდათ, ხრიკიან აბლაკატებთან დახარჯულმა ფულებმაც ჩაიარა და 16 ოქტომბერს კლდეთის საზოგადოების გლეხთა ერთ ნაწილს გამოეცხადა, ამიერიდგან ჩამოგერთვათ მიწები, როგორც საკუთრება, და რჩება ხაზინასო. წარდგენილი საბუთები, წარდგენილი თხოვნები მოწმების დასანიშნავათ რომ ადგილები მართლა ნაყიდი გვაქვს, საკუთრებაა და ხაზინა უსამართლოდ გვედავება, უყურადღებოდ დასტოვეს, და გამოუცხადეს, 1 ნოემბრიდამ ოთხის თვის განმავლობაში გაასაჩივრონ ტფილისის სამოსამართლო პალატაში. მაგრამ უმრავლესობა გადატანას საჩივრისას აღარ აპირებს, რადგან სწამს, ვერაფერს მოიგებს.

„განკიცხული“.

რუსეთი

უმაღლესის ბრძანებით, სამეურნეო საჭიროებათა გამოსაკვლევად დაარსებულ საგანგებო საბჭომ განიხილა ადგილობრივის კომიტეტებისაგან წარდგენილი ცნობები და დაადგინა მთლად დაბეჭდოს ეს ცნობები და მოხსენებანი და, ამავ დროს, რადგან დიდძალი მასალა მოგროვდა და მისი განხილვა ყველასათვის ადვილი არ არის, საჭიროდ დაინახა საყურადღებო ცნობები ცალკე გამოჰკრიბოს და ისე დაბეჭდოს: მთელი მასალა უკვე დაბეჭდილა 58 დიდ წიგნად, ხოლო ამოკრებილი ცნობები 18 წიგნს შეადგენს და დაიბეჭდება მომავალ წლის დასაწყისში. ამ რიგად, ჯერ ორი წელიწადიც არ გასულა უმაღლესის ბრძანების შემდეგ და ამოდენა შრომა მთლად დასრულდა. ეხლა ეს წიგნები გაეგზავნება მინისტრებს, მთავარმართებლებს, გენერალ-გუბერნატორებს, გუბერნატორებს. გუბერნიის მარშლებს დ გუბერნიის საერობო სამმართველოებს. ამოკრებილი ცნობები გაეგზავნება აგრედვე მაზრის მარშლებს დ მაზრის საერობო სამმართველოებს. ამასთანავე დასახელებულ რჩევის თავმჯდომარეს მინდობილი აქვს გაუგზავნოს კომიტეტების შრომა მაღალ სასწავლებლებს, წიგნთ საცავებს, სამოსწავლო დაწესებულებათ და ისეთ კაცებს, რომელთა დახმარება სასურველად დაინახოს. ყოველი დაწესებულება თავის აზრს წარუდგენს მთავარ საბჭოს და შემდეგ საერთო დებულება შემუშავდება სამეურნეო საჭიროებათა შესახებ.

ეს დებულება ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა 8 დეკემბერს ამ 1903 წ.

უცხოეთი

ტიბეტი. ინგლისის სამხედრო ექსპედიცია ტიბეტში, რომელზედაც ამას წინად ვსწერდით, ისე უმნიშვნელო არ არის რუსეთისათვის, როგორც ეს ზოგს ეგონება. თუ ინგლისმა ტიბეტში ფეხი მოიმაგრა, მაშინ, უეჭველია, ხელს მოხვევს ცნობილ დალაი-ლამას, უმთავრეს ქურუმს, რომელიც წმინდა კაცად, თვით ბუდდას მოადგილეთ და თითქმის ღმერთად მიაჩნიათ. ცოცხალი ღმერთი ინგლისს დამორჩილებელი ექნება და იმის საშუალობით ზედ-გავლენას იქონიებს იმ მონღოლებზედაც, რომელნიც რუსეთის ქვეშევრდომნი არიან და ბუდის სარწმუნოებას ეკუთვნიან. მონღოლია ზედ აკრავს რუსეთს. ციმბირის რკინის გზა მონღოლიის საზღვრების ახლოს და ხარბინიდგან მანჯურიის სადგურამდე მონღოლიის მიწაზე გაყვანილი. ზაბაიკალის ოლქს და ირკუტსკის გუბერნიაში 300,000 ბურიატი სცხოვრობს, ბუდდის სარწმუნოებისა, და ციმბირის რკინის გზის გასწვრივაც. ინგლისიაც, რასაკვირველია, ეცდება ეს უცხო ხალხი აადგოს რუსეთის წინააღმდეგ.

რუსეთის მწერლობამ ეხლა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და გულ-ახდილად აღიარებს, რომ დიდი სიბრთხილე გვმართებსო. მონღოლებთან ალერსიანად უნდა ვიქცეთ და ბურიატელთ სამართლიანად მოვეპყრათო. მაშინ მიზეზი აღარ ექმნებათ ჩვენზედ გული აიმღვრიონ და ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდნენო.

ჩვენ არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავტოვოთ ტიბეტი და ჩვენი პოლიტიკა არ შევიტანოთო. იმიტომ-კი არა, რომ გადადმა ინგლისი სდგამს, არამედ იმიტომ, რომ ასეთ ძლიერ სახელმწიფოს არ შეუძლიან ზედგავლენა არ იქონიოს სუსტს მეზობლებზე, თუ რომ უნდა ჯეროვანი საერთაშორისო ადგილი ეჭიროსო.

ჩვენ უნდა ხშირად ვგზავნიდეთ ტიბეტში ექსპედიციებს, ჯაშუშებს, მოგზაურებს, მლოცველებს და ელჩებს, რომ ჩვენი სახელი ადიდონ და ჩვენი პოლიტიკა დაამყარონ აზიის შუაგულში. ხოლო ეს ერთბაშად-კი არ შეიძლება, არამედ დრო-გამოშვებით, თანდათან, როცა შესაფერი წამი ხელს გვიწყობს. იქ-კი არ უნდა წავაწყდეთ სადაც ჩვენი მოქიშპე მოქმედობს, არამედ სხვაგან და სხვა დროს, თორემ ვერას გავაკეთებთ და პოლიტიკურ ინტრიგანებს დაგვიძახებენო.

აღმოსავლეთის გემოვნებაზედ. ბარი მოუბურავი აქვს. თავ-მოხსნევი. ჩიქილასავით წმინდა კისეია ისე აქვს გაკეთებული, რომ მთლად ფრიალობს მის სირბილის დროსა).

II

გაიანე.—ვერ მიპოვი, მაიკო, ვერ მიპოვი! (კისკისებს). მამა! (გაქანებული მოეხვევა მამას და ჰკოცნის იმ დროს, როდესაც ის-ის არის უნდა ღვინო დალიოს).

ოთარ-ბეგი. შენ საიდან გაჩნდი? (ბესოს). გასწი აქედან! (ბესო მიდის).

გაიანე. მამა, მაიკო გაგიჟდა. ჩამცივებია, პირ-ბადე გაიკეთეო, თითქო ახალციხელ ოსმალოს ქალი ვიყო. დაუყენებიათ ჩემ კარებ წინ ვიღაც გასივებული მახინჯი წიწინა ხმითა,—მინდოდა ბაღში გამოვსულიყავ, გაუშლია ხელები ასე, რაღაცას ბურტყუნებს, ალბად, სპარსულად თუ, კინაღამ სიცილით მოვკვდი. მინდოდა ხელი მეკრა, მაგრამ ისეთი სასაცილო უშნო სახე ჰქონდა... გიჟივით ხარხარი დავიწყე... ფერდები მეტკინა სიცილით. უჰ, ახლაც-კი მეცინება, რომ მაგონდება (ხარხარებს).

ოთარ-ბეგი (ცდილობს სასტიკი მეტყველება მისცეს სახეს).—როგორ არა გრცხვენია, გაიანე. მაგოდენა ქალი ხარ და ისე იქცევი, თითქო.. თითქო პატარა გოგოაო...

გაიანე.—ნეტა გენახა, მამა.. (აჯავრებს საჭურისს ლაპარაკსა და მიხვრა-მოხვრას). აბა-ლა-ბა-ლა-ბა-ლა... ლოყები-კი უთრთოლავს, თვალები ისეთი აქვს, თითქო პაწია სოროებიაო... (თვალებსა სჭუტავს) ა-ბა-ლა-ბა-ლ-ა-ბა-ლა. უჰ, ქრისტე ღმერთო ჩემო.. (კისკისობს. უცბად შესდგება და დაღინჯებით გაჯავრებით). სანამ მე ვიცინოდი და ვხარხარებდი, აიღო იმან და კარები დამიკეტა. წარმოიდგინე, მამა, ვარახუნებ, ვყვირი, ვჯავრობ.. ერთი შემოსულიყო ჩემთან, მე ვაჩვენებდი: როგორც უნდა დაკეტვა კარებისა ჩემ წინ, თავადის ასულ გაიანეს წინ. (თავმომწონედ შეიხრის წარბს და მრისხანებათ იხედება აქეთ-იქით. ოთარ-ბეგი შესცქერის გამოუთქმელის გულის ტკივილით და აღტაცებით). ისე გავჯავრდი, ისე, რომ დამძინებოდა. მერე იმდენი მეძინა, იმდენი... სიზმარში ვნახე, ვითომ ვზივარ ცხენზე იქ, ჩვენსა, შინდას და მივაქროლებ, მინდა დავეწიო ირემს... ვითომ ირემიც სულ ახლო-ღაა, სულ ახლო, აგერ თითქმის დავეწიე კიდეც და უცებ ჩემ ცხენ წინ ის გასივებული ბა-ლა-ბა-ლა-კი გატყვრება, ცხენი გახტება განზედ,.. ისეთი შევხტი... უცებ გამომეღვიძა და ვყვირი: გელაშ, სტაცე პირი... ჩემი საყვარელი მწევარი როა, ხომ გახსოვს, შავი, შავი... ძრიელ რომ აქებდი ხოლმე.. ვიყურები, არც გალაშია სადმე, არც ირემი, ბებერი მაიკო-კი ზის ჩემ გვერდით... მოვიფშვნიტე თვალები, მაინც ვერაფერი ვერ გამიგია. მაიკო-კი მოჰყვა ქიანურივითა (აჯავრებს). ჩემო სასურველო, ახლა დედოფალი უნდა გახდე. პირბადით უნდა იარო. მამა შენმა ბრძანა—ახლა-კი აღარ უნდა ირბინო, დინჯად უნდა იარო, სახლში უნდა იჯდე, უნდა... უყურე, უყურე და ფანჯარაში-კი შევხტი უცბად: ვუცქერი, ძრიელ მაღალია კედელი, იქვე-კი ბებერი კაკლის ხეა. მაიკომ ვერც-კი მოასწრო შეეყვირნა, რომ ვიხტუნე და კაკლის ტოტზე-კი მოვექეცი. მაიკოს დავუყვირე, აბა, ახლა დამიჭირე მეთქი. ჩავცოცდი იქიდან, ხეივნიდან ხეივანში გავძვერი, ბუჩქი ბუჩქზედ შემოვირბინე კურდღელივით, როცა მწევარს უსხლიკუდებს ხოლმე, რომ გზა-კვალი აურიოს და შენთან-კი გავჩნდი. (ეხვევა). შენ უბრძანე ვისმე, რომ არ გამიშვან ხოლმე კარში? შენა? ტყუილია! მაიკო რაღაც ამბობს მაშა, რომ დედოფალი იქნებიო? რა არის მაგისათვის საჭირო? ჩქარა გავხდები დედოფალი? მართალია, რომ შენ ვითომ მეფეზე დიდი ხარ აქა? რა არის, რომ ხმას არ იღებ, სულ გაჩუმებული ხარ?

ოთარ-ბეგი. დედოფალი იქნები, გაიანე. მთელის ქვეყნიერობის ბრძანებელი იქნები.

გაიანე. უჰ, რა კარგია!

ოთარ-ბეგი. მაგიტომ საჭიროა მხოლოდ, რომ მე მემორჩილებოდე, ჩემი გეყურებოდეს, გაიანე. შენ ახლა ქალი ხარ და არა ბიჭი. უნდა მოიშალო ცხენზედ ჯდომა და ჭენება ჯავგადადებით, თითქო ჩერქეზია და ნადირობსო.

გაიანე. მაშ, რა საჭიროა დედოფლად ყოფნა, თუ ნადირობა არ შეიძლება?

ოთარ-ბეგი. ეჰ, შენ ჯერ კიდევ ჭკუა არა გაქვს, გაიანე! რა საჭიროა!! (დაიწყებს უცებ ყვირილს). მე მამა ვარ შენი თუ არა? ვინ გასწავლა ეგა, რომ ერთს ჩემს სიტყვაზედ ასი უნდა მომახალო? მამა ვარ თუ არა? (გაიანე შეშინებული უკან დაიწევს და გაოცებულის თვალებით უცქერის მამას. ყოველსავე დანარჩენს ოთარი ამბობს თანდათან ხმა-დადაბლებით და ბოლოს ისე უდაბლებს ხმას, თითქო ყელში ეცოდა რამე და აღრჩობსო, თითქო ქვითინს აკავებსო). მაიკომ ხომ გითხრა, რომ ჩემი ბრძანებაა სახლში იჯდე, პირბადე ჩამოიფარო ხოლმე, შენ-კი... შენ ფანჯრიდანა ჰხტები. რაო, ფრინველი ხარ, თუ რა არის, რომ ხეებსა და ბუჩქებზე იფრინო?

გაიანე (დიდივით). არა, ფრინველი არა ვარ, მაგრამ კარ-ჩაკეტილ ოთახში-კი არ დავდგები! ეგ პირ-ბადე... იმიტომ გავიკეთო, რომ სუნთქვა აღარ შემეძლოს? ეგა... ეგა... აი, აჰაა, შენი პირ-ბადე! (ჰფხრეწს).

ოთარ-ბეგი (გაოცებული მუხლებზე ხელებს იცემს). ჰაი, შე... როგორა ჰბედავ შენა?!

გაიანე მე მკვდარი არა ვარ! პირბადეს მკვდრებს აფარებენ.

ოთარ-ბეგი (სცდილობს მრისხანე მეტყველება მისცეს სახეს, მაგრამ უნებლიეთის აღტაცებით შეჰყურებს). ხელ-ფეხს შეგიკრავ! სარდაფში ჩაგაგდებ, საცა თაგვები არიან!

გაიანე. რადაო? სარდაფში ჩაგდებას, აიღე და მომკალი (ერთმანეთს უცქერიან).

ოთარ-ბეგი (ხანგრძლივის დუმილის შემდეგ). კარგია, კარგია, ჯიუტობას თავი დაანებე, უარშიო ნუ იქნები. მოდი აქა, გაიგონე, რაც გითხრა.

გაიანე (არ მიდის). მითხარი.

ოთარ-ბეგი. აი, გაიანე, შენ რომ მკითხე, მართალია თუ არა, რომ შენ მეფეზე დიდი ხარ აქაო? დიდი არა ვარ, მაგრამ ყველაზედ ძლიერი-კი ვარ ჩვენს თავადებში. მერე რადა? იმიტომ რომ მუდამ ჭკვიანურად ვიქცევი, მუდამ ვზრუნავდი, რომ კეთილ ცხოვრებაში ვყოფილიყავ და აი ხომ ჰხედავ, რა კარგადა ვსცხოვრობ! გახსოვს პაპაშენი, მუხრან-ბატონი? სად არის ახლა საწყალი მოხუცი? იმერეთში სცხოვრობს და სხვის სამადლოდ არის გამხდარი. გულბაათ ციცი სადღაა? სიკვდილით დასაჯეს. ორბელიანი, სემბათი სადღა არიან? უსავანოდ, უსახლ-კაროდ არიან დარჩენილნი და მთებში ავაზაკობენ. სხვები? რიგი გადატაკდა, რიგი მსახურობს და სულ კანკალობს შიშით, თავი არ გამაგდებინონო... ვსთქვათ, ხანდახან მეც-კი... მაგრამ ეს რა შენი საქმეა... სამაგიეროდ, თუ განვრისხდი, შემიძლიან ყველა დავახრჩო წყალში, ჩამოვახრჩო თოკით, სიკვდილით დავსაჯო! როგორ გგონია, ეს ცოტაა? მერე, რად მოჰხდა ასე? იმიტომ რომ მეფესაც უყვარვარ და დედოფალსაც. დედოფალიც—აი, წაგიყვან იმასთან—მუდამ პირ-ბადეს ატარებს, როცა სხვები არიან სახლში. ასეა, დედაკაცისათვის სირცხვილია, რომ თავის პირისახეს სხვას აჩვენებდეს.

გაიანე.—რად არის სირცხვილი? ჩვენ თქვენზედ ლამაზები ვართ. თქვენთვის ხომ არ არის სირცხვილი? მერე, რა ნაირი სახე გაქვთ ხოლმე კაცებს, ქრისტე ღმერთო ჩემო!

ოთარ-ბეგი. რა არის, სულ ქრისტე და ქრისტე?! ღმერთი ერთია ყველასათვის: ჩვენთვისაც... შენთვისაც... ყველასთვისაც... ალლაჰი. თქვი ხოლმე, ალლაჰი თქო!

გაიანე (წყენით). თათარი ხომ არა ვარ, რა ვქნა?!

ოთარ-ბეგი (დაიწყებს ყვირილსა და ჯავრობს). რაო, ბერი ხარ, თუ რა არის, რომ ახლა მაგაზედ დაიწყო სჯა. როგორც გიბრძანებ, ისე ილოცე.

გაიანე. უჰ, მამა, ეგ მე არ შემიძლიან. ღმერთი ყველაზედ დიდია, მამაზედაც-კი. ჰკითხე, აბა, მაიკოსა. ძრიელ მიყვარხარ, ცხენიც შენ მაჩუქე, მწევრებიცა, აი ეს ლამაზი კაბაცა, ეს ყელ-საბამიცა, ყველაფერი... მაგრამ ღვთისა-კი მაიკომ შენზედ კარგად იცის.

ოთარ-ბეგი (დრიალებს). როგორ? ჩემზედ კარგად? ვინ იცის ჩემზედ კარგად?

გაიანე (მტკიცედ). ვინა და მაიკომ. მუდამ იმას მეუბნევა: კაცის საქმე ომიაო. აი მამაშენი, სახელოვანი სარდალია, მხედართ-მთავარიო. იმათ ლოცვისთვის არა სცალიანთო. ჩვენ-კი, ქალები, ჩვენთვისაცა ვლოცულობთ და კაცებისათვისაცაო. აი საბა-ბერი, წმინდა კაცია, თუმცა მონადირეც არის. ძაღლიცა ჰყავს უბრალო, სულ უბრალო, მაგრამ ისეთი მალია, ისეთი სწრაფია, როგორც ელვა.

ოთარ-ბეგი. სადა ჰნახე ეგ საბა? საიდანაო?

გაიანე. აქეთ-იქით დადის. თავისი ეკკლესია ჰქონდა, ჰო, ღმერთმანი. ეკკლესია დაუწვეს. ახლა სახლი არა აქვს და დადის აქეთ-იქით. ის ამბობს: საცა უფალი იესო ქრისტე მიიხედავს, იქ ეკკლესიაც გაჩნდება, მხოლოდ ჩვენ ვერ და-

სერბია. ნამდვილ წყაროებიდგან იუწყებიან, რომ რუსეთში, ავსტრო-უნგრეთმა, გერმანიამ, ინგლისმა და იტალიამ განუცხადეს სერბიის მართებლობას, რომ მათი ელჩები არ დაბრუნდებიან ბელგრადს იმ დრომდე, ვიდრე მეფე-დედოფლის მკვლელნი სამსახურიდგან დათხოვნილ არ იქმნებიანო.

როგორც ამას წინად მოსულ დეპეშიდგან ვიცით, საფრანგეთი ამ მხრივ სხვა აზრს ადგია და მისი ელჩი სერბიაში რჩება, რისთვისაც ახალგაზრდობამ სამადლობო მანიფესტაციაც გაუმართა.

ტრანსვაალი. ინგლისს ვერ გაუმართლდა იმედი ჩინელების მოწვევისა ტრანსვაალის სამადნოებზე სამუშაოდ. ჩინეთის მართებლობამ აკრძალა მუშა-ხალხის გადასახლება სხვა ქვეყნებში. ვიცე-კოროლებს ნაბრძანები აქვთ მუშა-ხალხი სრულიად აღარ გაუშვან ჩინეთიდგან. ტრანსვაალის მემადნეები ძალიან გაჭირვებაში ჩავარდნენ და ეხვეწებიან ინგლისის მართებლობას, იღონოს რამე, რადგან ძალიან დიდი ზარალი გვაქვსო.

ჩინეთი. წარსულ ნოემბერში ჩინეთის იმპერატორმა გადააყენა მთავარ მინისტრი ვან-ვენ-შაო. მისი ადგილი იმპერატორმა მისცა ნა-დუნს და იმავე დროს ერთი თვალსაჩინო ადმინისტრატორიც დაითხოვა, რომლის ადგილს გაამწესა იუნჩ-ჟინი. ამ კაცთა იმპერატორთან დაახლოვება პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. აქამომდე ჩინეთის მართებლობა თითქო რუსეთს მომხრეობდა, ეხლა-კი მტრობას აღარა მალავსო. ნა-დუნი მანჯურელია, იუნჩ-ჟინი—მონგოლი.

ჩინეთს აღელვებენ სხვა-და-სხვა ამბებით, რუსეთი მანჯურიასაც არა სჯერდება და ჩეილის პროვინციისკენ მიიწევსო; რავდენიმე რაზმი გაუგზავნია კიდეც და თან ინჟინერებიც მიუყოლებია, რომ გამოკვლევა მოახდინონ განზრახულ რკინის გზისა, რომელიც მანგოლიას გასჭრის და პირდაპირ პეკინს მივაო. რუსეთს ერთი წლიწადი კიდევ უნდა, რომ ფეხი კარგა მოიმაგროს იმ ქვეყნებში. ეშინიან მხოლოდ იაპონიის ფლოტისა და ერიდება ინგლისი არ ჩაერიოს და საქმეები არ გამიხლართოსო.

იაპონია. შანჰაიდგან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს, რომ იაპონიის მართებლობას იქ დაუქირავებია 10 და ქობეშიც 7 გემი ჯარის გადასაყვანად და 3—სურსათის გადასაზიდად. ერთს კომპანიას, რომელიც 25 გემს ამუშავებს ჩინეთის ნავთ-სადგურებში, იაპონიის მართებლობისათვის დაუთმია მთელი თავისი ფლოტი.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. გუშინ, 14 დეკემბერს, თეატრის კარებს ერთობ დიდძალი ხალხი მიაწყდა! ამის მიზეზი ის იყო, რომ ამ საღამოს არდგენდა ადგილობრივი დასი, ბბ. ალექსი-მესხიშვილის და ვ. გუნიას მონაწილეობით, გუცკოვის ხუთ მოქმედებიან ტრაგედიას «ურიელ-აკოსტას».

აღნიშნავთ, როგორ ჩაიარა პიესამ. ჩვეულებრივის ხელოვნებით დაგვიხასიათა ალექსი-მესხიშვილმა სიმართლით სავსე „ურიელ-აკოსტა». შესანიშნავი იყო მეტადრე მეოთხე მოქმედებაში. კარგნი იყვნენ აგრეთვე ბ-ნი მდივანი (იუდითი) და ბ-ნი გუნია (ბენაკიბა). სხვები ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

კარგი იყო დეკორაციებიც და ტანისამოსიც. ამ საღამოს თეატრი პირველად იყო განათებული ელექტრონით. თეატრი გაჭედილი იყო ხალხით. ყველა კარგ პიესას ბევრი ხალხი დაესწრება და საჭიროა ასეთი პიესები ითამაშონ.

ამ დღეებში როგორც ამბობენ, ითამაშებენ „ოტელლო„-ს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 დეკემბერი.

პარიჟი. რადგანაც ბურჟუამ გამოსთქვა სურვილი, მის მოადგილედ პალატის პრეზიდენტობაზე იყოს ბრისონი, ეტიენმა და დუმერმა თვის' კანდიდატობაზე უარი განაცხადეს.

რიაზანი. საგუბერნიო კრება აპირობს აძრას შუამდგომლობა, რომ სოფლის მასწავლებელთა ქალიშვილები, რომელთაც ათი წლიწადი უმსახურნიათ, უფასოდ სწავლობდენ ყველა სახელმწიფო სასწავლებლებში.

ლონდონი. ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია, დიდს მთავარს ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს ებოძა ორდენი ვიქტორიის დიდის ჯვრისა.

განჯა. განჯის აღებიდან (ელისავეტპოლი) ასის წლის დღეობის გამო, საბჭომ გადასწყვიტა ქალაქის იმ ნაწილში, სადაც თათრები სცხოვრებენ, დაარსდეს ციციშვილის სახელობაზე ორკლასიანი სასწავლებელი.

ლიბავა. კრეისერი «ალმაზი» გუშინ შორეულ აღმოსავლეთს წავიდა.

ბოსტონი. მომავალ წელში პრეზიდენტის არჩევის დროს დემოკრატიულ დასის კანდიდატობას ოლნეი აპირობს.

კოპენჰაგენი. 16 დეკემბრიდამ კარგი ამბები მოვიდა მეფის ჯანმრთელობის შესახებ. დღეს წელსა და ბეჭებში ტკივილების გამო ლოგინში იწვა, მაგრამ საზოგადოდ კარგად გრძნობს თავსა. დანიაში დაბრუნება დროებით გადასდეს.

ტოკიო. მთავრობას მიანდეს ისესხოს უჩვეულებრივო საჭიროებათა ფონდიდან 50.000.000 იენი.

რომი. გენერალ სისმონდოს დანიშნეს მთავარ-უფროსად მაკედონიის ჟანდარმერიასა ტყუილი გამოდგა.

18 დეკემბერი.

ტოკიო. გამოიცა ბძანება, რომელშიაც ნათქვამია, მთავრობა მხოლოდ პირველად იძულებულია აასრულოს მეშვიდე მუხლი კონსტიტუციისა და მიიღოს შემდეგნი არაჩვეულებრივი საშუალებანი: გამოსცეს სესხი, რომელიც ორი წლის განმავლობაში უნდა გადახდილ იქმნას, გამოიცეს ხუთი წლის ვადიანი საკრედიტო ბილეთები და ისარგებლოს მართებლობის სპეციალური სათადარიგო ფონდით.—სეულ-ფუზანის რკინის გზას თითქმის ოფიციალური ხასიათი ეძლევა და მართებლობის ზედამხედველობის ქვეშ იქმნება.

სტამბოლი ზინოვიევისას პირობით შეკრულ სახელმწიფოთა ელჩებს თათბირი ჰქონდათ. გარეშე საქმეთა მინისტრმა პრინციპიალურად გადასწყვიტა იტალიელი გენერალი დანიშნოს მთავარ უფროსად ჟანდარმერიისა მაკედონიის ვილაიეტებში.

ლონდონი. იაპონიამ იყიდა არგენტინის ორი ჯავშნიანი გემი, რომელიც გენუაში მზადდება.

ბიზერტა. სამხედრო გემები «იმპერატორი ნიკოლოზი» და «აბრეკი» კრონშტადტში გავიდნენ.

ჩიკაგო. დილის წარმოდგენის დროს თეატრში ცეცხლი გაჩნდა; დაღუპულია თითქმის 200 კაცამდე. ცეცხლის მქრობელთა რაზმის უფროსის აზრით, პირველ გალერეაში 300—500 უნდა იყოს დაღუპულთა რიცხვიო.

კალკუტა. ინგლისის ტიბეტელი ექსპედიცია ჯერ კიდევ ცზამბოს ხეობაშია, რადგანაც ბარგის საქონელი დაუცვინდათ.

სოფია. (ოფიციალური წრეებიდან). კრებას მოწყენილი სახე აქვს. რადგანაც ოპოზიცია არ არის, ამიტომ არც გამათობაა. სესსია 22 დეკემბერს გათავდება. ირწმუნებიან, რომ კრებას უნდა სამხედრო საჭიროებისათვის კიდევ ისესხოს 15 მილიონი ფრანკი.—სტამბოლიდან მოსულ ამბებს, რომ ლოზენგრადის სანჯაყში და როდოპთან მეამბოხეთა ბრბონი გაჩნდნენო, არაფერი გამამწვავებელი მნიშვნელობა არა აქვს. ჯუფთნი ძალიან ცოტანი არიან.

პეტერბურგის ბირჟა 16 დეკემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	45,00
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,67½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთა ბანკისა	95⅛ გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	443½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	332 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	284¼ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	
6% ქუთ. საადგ. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი

ადრესი: U. 111 an des
Annoncen-Bureau des Merkur
in Mannheim Meerfeldstrasse, 44.
(50—35)

გამოვიდა და იყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში ახალი გამოცემანი ქუთათურ ამხანაგობისა:

,,დევის ბატონიშვილი'' თხზ. ო. ხუსკივაძისა, ფ. 10 კაპ.

2. ,,ჯაინელა'' თარ. ა. ი. ნიკოლაძისა, ფასი 30 კაპ.

ვინც ამხანაგობის კონტორაში (ქ. ქუთაისი, ქალაქის ბაღი) დაიბარებს ან იყიდის იქვე ამხანაგობის გამოცემებს 20 დეკემბრიდამ 20 იანვრამდე, მას დაეთმობა 30 პროცენტი დაკლებით, ხოლო, ა) თხზ. მამია გურიელისა I და II ნაწ. ბ) თხზ. გ. წერეთლისა I და II ნაწ. გ) ,,საქართველოს ისტორია'' ბარათაშვილისა I და II ნაწ. და დ) თხზ. გრ. აბაშიძისა—40% დაკლებით.

იბეჭდება და მალე გამოვა გიორგი წერეთლის თხზ. III ტომი.

10—6—8

ქუთაისში
ს. გ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და იყიდება ყველგან
ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.
შოთა რუსთაველის
ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

მსწრაფლ მბეჭდავი
—სტამბა—
ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.

„ცოდნა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება. ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სახმარებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და ყიდულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

აქვე შეიძლება იყიდონ კალენდრები: უბისა, ჯიბისა და კედლისა.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწვდომ გამოცემათა.

მსურველთ წიგნები ეგზავნება ქალაქ-გარედაც **ფას-დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველგვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: **Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.**

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ორკვირეულ
გამოცემათა ქართულს
„მწყემსი“-ზე
და
რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე
XIX
ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი“	3 მ.	ორივე გამოცემა	5 მ.
სამკურნალო ფურცლის დამატებით	4 მ.	6 თვით „მწყემსი“	2 მ.
რუსული	3 მ.	რუსული	2 მ.
		ორივე გამოცემა	3 მ.

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატე ლამბაშიძესთან, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან. ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არ. კალანდარაშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დაბა **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.**

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

ვინახავთო, იმიტომ რომ ცოდვილნი ვართო. ეხლა ისეთი დროა, როცა უნდა ვთხოვოთ უფალსა, რომ ხშირად მოჰხედოს ხოლმე საქართველოსა, იმიტომ რომ ჩვენებმაც დაივიწყეს თავისი ღმერთი და სპარსელებს მიჰყიდეს ან ფულის გულისთვის, ან შიშითაო. მერე შენ რად აძლევ ამის ნებას? საბაი, საცა დადგება ბინად, მაშინვე ამოიღებს წიგნს, ხელსახოცს გაშლის ქვაზედ, ან კუნძზედ და ლოცულობს. ოჰ, ძალიან გულადია. ერთხელ გზა დამეკარგა, ჩამოვრჩი ჩემს ბაზიერებს, უცბად გარეული ღორი გამოვარდა — უშველებელი, საშინელი, მთლად დინგი ქაფითა ჰქონდა სავსე. ჩემი ცხენი ყალხზე შედგა და გადმომაგდო. ვამბობ გულში, ახლა-კი დაიღუპე გაიანე-მეთქი! ვნახოთ, საბა-კია აქვე. დაჰკრა შიგ ამაში დანა (გულს უჩვენებს), ღორმა ქვეშ ამოიდო, მაგრამ ამ დროს წამოვხტი და მივეშველე. საბა ხშირად შემოვა ხოლმე ჩვენსა შინდას. შენი-კი ეშინიან, თუმცა უთხარი, იმან მხოლოდ საშინლად იცის ყვირილი, თორემ ხელს არავის დააწებს მეთქი.

თარ-ბეგი. ჩუმად! (ბოლთასა სცემს დიდად შეფიქრიანებული და დარცხვენილი).— გამიგონე, გაიანე. ეგ ნადირობა, ეგ ბერმორჩილნი—ყოველივე გათავდა. ზეგ ტფილისში მიმყვეხარ. და თუ მეფესა და დედოფალს მოეწონე, ირანს გაგგზავნიან, მეფეთ-მეფესთან, თვით ფადიშასთან. ფადიშა ცოლად შეგირთავს და თვითონ შენ იქნები დედოფალი ირანისა და საქართველოსი, ქალბატონი მამა შენისა.

გაიანე (ყურ-აცქვეტილი). ირანის დედოფალი? ფადიშას ცოლი? სად არის ირანი? ვინ არის ფადიშაი? არ მინდა... არ მინდა...

თარ-ბეგი (აჩქარებით). ოქროს სასახლეში იცხოვრებ, სულ აბრეშუმი დ. ხავერდი გერტყმება გარშემო, ასობით მხევალნი შენ ფეხ-ქვეშ იქმნებიან გართხმულნი და შენს ბრძანებას დაუწყებენ ლოდინს. მარგალიტივით შადრევნები იქმნებიან დამართულნი შენს ბაღში, ჩემო სიცოცხლე, ჩემო ვარდო!

მაიკო (სცენის იქიდან, ხეივნიდან) გაიანე, ჩემო გვრიტო... გაიანე, სადა ხარ!

გაიანე (ჩიტივით შეფთხრიალდება). ოჰ, მაიკო! არ უთხრა, რომ დამინახე. (გარბის და გაოცებული თარ-ბეგი ისე რჩება, რომ სიტყვა «დაიცადე» ნახევარი ძლივს მოასწრო ეთქვა).

თარ-ბეგი. ყველას ეშინიან ჩემი... მარტო მაგას არ ეშინიან! ოჰ, უმჯობესი იქმნებოდა ჩემთვის... (ხეივნიდან შემოდის გულ-ამოვარდნილი მოხუცი მაიკო, შავი კაბა აცვია, ტან-მორჩილია და სავსებით სრული. თეთრი ჩადრი ახსია).

III

მაიკო.—გაიანე, გაიანე... ოჰ, დიდო ბატონო.

თარ-ბეგი (უნდა დაჭმალოს მღელვარება და ჭვავრის).—ასე უგდებ ყურს ყმაწვილ ქალსა, მოხუცო? როგორ გაჰბედე და გამოუშვი კარში!

მაიკო.—ფრთები ხომ არ ასხია, ბატონო, რომ მაგის დაწევა შემეძლოს. სად არის, ვენაცვალე, ჩემი მტრედი გეყა ცელქობა, ფთხრიალი, ახლა გალიაში უნდათ ჩაგსვან, ჩემო ჩიტო, ჩემო წითელო ვარდო (ტირის).

თარ-ბეგი. გაიქეცი, ასე გარბოდა. და თუ კიდევ გამოგიშვია, მე შენ...

მაიკო (ტირილით). ჩემო ჯავარიანო ზურმუხტო! სადა ხარ, გაიანე, გაიანე! (მიდის და კიდევ დიდხანს ისმის უკვე შორს წასულის ძახილი) გაიანე..

თარ-ბეგი. არა, უნდა გათავდეს ესაბესო! (შემოდის ბესო).

(შემდეგი იქნება)

გრ. ყიფშიძე.

Дозволено цензурою тифлис 18 декабря 1903г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи. დროებ. რედაქტორი გ. ყიფშიძე, გამომცემელი ხარაჯიშვილი.